

შპს „ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ 2022 წლისწლიური ანგარიშის

საქმიანობის მონაცემთა განმარტებები.

I. მოკლე მიმოხილვა

1. შპს „ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“
2. ქ. რუსთავი, წმინდა ნინოს ქ. # 5
3. საკონტაქტო ინფორმაცია:
4. ტელ: + 995 341 24 18 05
5. ელფოსტა: rustavifsiqiatruli@gmail.com
6. საკონტაქტო პირი: მანანა ელიაშვილი (დირექტორი)
7. საიდენტიფიკაციო კოდი: 216296880
8. სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
9. დამფუძნებლები: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
10. კაპიტალი: 668713 ლარი
11. სახელმწიფოს წილი: 100%
12. საქმიანობა: სამკურნალო დაწესებულება
13. საშუალო ხელფასი: 1162 ლარი

I საზოგადოების მიზანი.

შ.პ.ს. „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ არის სპეციალიზირებული სამედიცინო პროფილის დაწესებულება, რომელიც ქვემო ქართლის მოსახლეობას აწვდის ფსიქიკური ჯანმრთელობის დიფერენცირებულ სერვისებს.

ქ. რუსთავში დაწესებულებას აქვს შესაბამისიკეთილმოწყობილი 895,81კვ.მ-ის ორსართულიანი შენობადა ქ. მარნეულში რუსთაველის ქ 86-ში 35.88 კვ.მ. ფართი. რეგიონში მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დაცული რომ იყოს ფსიქიატრიული მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპი, დაწესებულებას ბოლნისში იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი.

ცენტრის მიერ განხორციელებული სამედიცინო მომსახურება ძირითადადდაფინანსებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (სტაციონარული, ამბულატორიული, სათემო მობილური და კრიზისული კომპონენტები).

ასევე, შიდა სტანდარტით განხორციელებულია იმ პირთა მომსახურება, რომელსაც სახელმწიფო პროგრამა ვერ ფარავს. შიდა სტანდარტით შემოსული თანხა მოსახლეობის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და ფსიქიატრიული მომსახურების სტიგმატიზაციის გამო (მოქალაქე ერიდება სპეციალიზირებულ დაწესებულებაში ფსიქიტრთან ვიზიტს) ერთიან შემოსავალში არის პროცენტულად დაბალი.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს შემდეგი ფსიქიატრიულიმსახურებები:

- ✓ სტაციონარული სამსახური – ქ. რუსთავში 22 საწოლზე
- ✓ სათემო ამბულატორიული ფსიქიატრიული სამსახური – ქ. რუსთავში, მარნეულში და ბოლნისში (ემსაურება რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის რაიონის მოსახლეობას)

- ✓ სათემო მობილური გუნდების სამსახური - ქ. რუსთავში და მარნეულში (ემსახურება რუსთავის, გარდაბნის და მარნეულის მოსახლეობას)
- ✓ კრიზისულ ინტერვენციულ სამსახური - ქ. რუსთავში (ემსახურება ქ. რუსთავის მოსახლეობას)

დაწესებულებაში დასაქმებულები არიან ფსიქიატრიის დარგის სხვადასხვა კვალიფიციური სპეციალისტები: ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოც.მუშაკები, ექთნები.

ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია გააფართოვოს სერვისები და განახორციელოს სხვა ფსიქიატრიული მომსახურებებიც.

დაწესებულების, როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის თანამედროვე ტიპის სათემო ორგანიზაციის შემდგომი განვითარების გარანტიაა, ცენტრის ორგანიზაციული მოწყობა მუდმივად შესაბამისობაში არის საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიასთან (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 იანვრის N23 დადგენილება), ხოლო მომსახურება ეყრდნობა ფსიქიატრიული მომსახურების თანამედროვე სტანდარტებს. აღნიშნულის მიღწევა ხორციელდება:

- გაზრდილი გვაქვს სამედიცინო მომსახურების ხარისხი.
 - განხორციელებთ სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას პერიოდული ტრენინგებით.
 - მოზიდული გვყავს ახალგაზრდა კვალიფიციური კადრები.
 - განხორციელებული გვაქვს კომპლექსური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფსიქიატრიული მომსახურებით უზრუნველყოფა.
- ინფრასტრუქტურის მოწყობის გაუმჯობესება
 სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობების (მთავრობის დადგენილება #385) მოთხოვნათა მიხედვით 2022 წლიდან, სტაციონარულ სამსახურში ყველა პალატას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი სველი წერტილი. კოვიდ პანდემიის (მითუმეტეს, როცა ჩვენი დაწესებულება ჩართული იყო კოვიდ დადასტურებული პაციენტების სტაციონარულ მართვაში), ასევე ფსიქიატრიული კლინიკებისთვის გარკვეული შეღავათების მიცემის (ვადებთან დაკავშირებით) გამო, ამ ვალდებულების აღსრულება ვერ მოხერხდა. ვინაიდან დაწესებულებაში ჩასატარებელი იყო სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები. დაწესებულებას დაარსების დღიდან არ არ აქვს სასაწყობო ფართი.

II. ბიზნეს-გეგმის პროექტი და ამოსავალი ბაზა

2022 წელს, ცენტრის შემოსავლების უდიდესი ნაწილს შეადგენდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამიდან შემოსული დაფინანსება. . კერძოდ, 2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (2022 წლის 12 იანვრის მთავრობის დადგენილება N4) ფარგლებში, 2022 წელს ცენტრი ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამასთან ერთად, ახორციელებდა ახალიკორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვას.

კერძოდ,

1. ახალიკორონავირუსული დაავადების COVID 19-ის დიაგნოსტიკა (სწრაფი/მარტივი მეთოდით ტესტირება, ტესტის ტემპების გარეშე)

2. ახალიკორონავირუსულიდაავადების COVID 19-ის სტაციონარულ მკურნალობა (საწოლების მობილიზება)

კოვიდის დიაგნოსტიკიდან მიღებულმა წლიურმა შემოსავლებმა, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულებით შეადგენა 1869ლარი (1 სწრაფი/მარტივი ტესტირება -3 ლარი). ხოლო, 01.01.2022წ-დან-15.03.22წ-მდე ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, COVID 19-ის სტაციონარულ მკურნალობიდან შემოსავალმა შეადგინა 160 600 ლარი(სტაციონარულ სამსახურში არსებული 22-ვე საწოლი მობილიზებული იყო კოვიდის მართვისვის, 1 საწოლის ღირებულება შეადგენდა დღეში 100ლარს):სამედიცინო პერსონალის სახელფასო დანამატმა 43 362ლარი (1 საწოლზე დრიური 27ლარი), ფაქტიური ხარჯი 66 199,41 (მედიკამენტების კვლევების, კვების ხარჯი, მოგების გარეშე).

2022 წლის 15 მარტიდან კოვიდის მართვის სტაციონარული მკურნალობიდან დაწესებულება ჩაიხსნა და მთლიანად ჩაერთო ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის სტაციონარული კომპონენტის განხორციელებაში.

2022 წლის სახელმწიფო პროგრამ ამოქმედდა 2022 წლის 15 იანვრიდან (2022 წლის12 იანვრის მთავრობის დადგენილება N4). ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სერვისებიდან დაფინანსება შეადგენდა:

- ✓ სტაციონარული კომპონენტი – 40 500ლ/თვე (ზედა ზღვარი)
- ✓ ამბულატორიული კომპონენტი – 83 400ლ/თვე (წლიური 994 522.58ლ)
- ✓ მობილური გუნდების კომპონენტი - 31 200 ლ/თვე (წლიური 373 677.42 ლ)
- ✓ კრიზისული მომსახურების კომპონენტი – 11 490ლ/თვე (წლიური 137 880 ლ)

რადგან სტაციონარული სამსახური ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში ჩაერთო 15.03.2022-წლიდან (როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მანამდე მთლიანად ახორციელებდა კოვიდ პროგრამას). ამიტომ, წლიურმა შემოსავალმა შეადგინა **390 260**ლარი.

საერთო ჯამში დაწესებულების 2022 წლისფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 896 340 ლარი; ახალიკორონავირუსულიდაავადების COVID 19-ისმართვისსახელმწიფოპროგრამისსაწოლების მობილიზების და დიაგნოსტიკის ქვეკომპონენტიდან შემოსავალმა შეადგინა 272 030.41 ლარი.

შიდა სტანდარტიდან შემოსავალმა - 20 433.5 ლარი.

არასაოპერაციო შემოსავალი იყო 5 820ლარი (ცენტრი ჩართული იყო საქართველოს უნივერსიტეტთან ხელშეკრულების საფუძველზე რეზიდენტურის პროგრამის განხორციელებაში, საიდანაც შემოსავლებმა შეადგინა 3 800ლარი. ასევე ცენტრს საჩუქრად 2000 ლარად შეფასებულიგადმოეცა პაციენტის საწოლი).

სახელმწიფო პროგრამით დაწესებული მოთხოვნების შესრულებამ განაპირობა ისეთი ხარჯების ზრდა როგორიცაა:

1. ქვეყანაში ფსიქიატრიული საწოლების დეფიციტის გამო, გაზრდილი იყო მწვავე პაციენტების მომართვიანობა. დაწესებულება, მიუხედავად სანებართვო პირობებით განსაზღვრული 22

საწოლისა, ხშირ შემთხვევაში (პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით) იღებდა განსაზღვრულზე მეტ პაციენტს. აღნიშნულის გამო პროგრამით განსაზღვრული ზედა ზღვრის 40 500ლ/თვე ატარებდა, მეტ პაციენტსდა ყოველთვიურად ასრულებდა დაახლოებით 1 800 ლარით მეტ სამუშაოს, რომელიც არ ანაზღაურდებოდა. წლის განმავლობაში ზედმეტი პაციენტების მომსახურების ხარჯმა დაახლოებით შეადგინა 18 235 ლარი.

2. გაზრდილი ნედლეულის (გარდა მედიკამენტებისა) ფასი. კერძოდ სამეურნეო საქონელი, საკანცელარიო და სახარჯი მასალა.
3. გაზრდილი კომუნალური გადასახადები. კერძოდ ივლისის თვიდან გაიზარდა გაზის ფასი დაახლოებით 20%-ით.
4. სამედიცინო მომსახურების ერთეულის ფასი. კერძოდ ხელშეკრულებით მომავზე სამედიცინო დაწესებულებებმა გახარდეს ლაბორატორიული კვლევების ღირებულება. მაგალითისთვის სისხლის საერთო ანალიზი 10 ლარის ნაცვლად გახდა ჯერ 15ლარი და მოგვიანებით 20 ლარი.საერთო ჯამში სამედიცინო მომსახურების (კოვიდის გარეშე, მხოლოდ ფსიქიატრიული პროგრამიდან) თანხამ წლის განმავლობაში შეადგინა 25 113 ლარი, როდესაც წინა წლებში 8 000ლარს არ ცდებოდა.
5. დაწესებულებას 2022 წელს ქონდა არასაკუთრაციო ხარჯიც, რომლის გადახდის ვადებულება წარმოიშვა სოციალური მომსახურების სააგენტოს სარევიზიო კომისიის დასკვნის საფუძველზე. 2018 წლის სამედიცინო საქმეების რევიზიის(რომელიც მოიცავდა 2015-2017 წლის სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლას) შედეგად დადებული დასკვნა 300 000 ლარზე გასაჩივრებული იქნა და 2021 წელს მოხდა გადამოწმება მარეგულირებლის მიერ, რომლის დასკვნითაც საურავი შედგენს **142 897,58** ლარს. დაწესებულებისსარჩელი სასამართლოშია შესული და დავა ამ ეტაპზე ჯერ არ დასრულებულა.

საბოლოო ჯამში წლიურ მოგებამ შეადგინა 34 700.55 ლარი.

შპს „ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელო

ბის ცენტრი“-ს

დირექტორი

მანანა ელიაშვილი

RUSTAVI
PSYCHOLOGICAL
HEALTH CENTER LTD

Digitally signed by RUSTAVI
PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER
LTD
Date: 2023.09.30 10:55:24 +04'00'

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	212319	197365	21547
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	170089	186330	173372
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფ.	0	0	0
მარაგები	148661	115385	97779
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	148661	115385	97779
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	250	1250	250
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	567779	589859	611899
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ	0	0	0
ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1099098	1090189	904847
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	13957	20145	19523
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	92364	108046	90195
საგადასახადო ვალდებულებები	23091	27012	22549
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	142898	142898	0
სულ ვალდებულებები	272310	298101	132267
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში			
'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო			
კაპიტალი')	668713	668713	668713
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	137784	103084	83576
გადაფასების რეზერვი	20291	20291	20291
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	826788	792088	772580
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1099098	1090189	904847
სულ მოკლევადიანი აქტივები	531319	500330	292948
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	129412	155203	132267

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	2188804	2356900
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	2188804	2356900
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1680696	-1955442
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	508108	401458
საერთო მოგება	0	8548
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-22080	-22040
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-457148	-368458
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-479228	-381950
სულ საოპერაციო ხარჯები	28880	19508
საოპერაციო მოგება		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	5820	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	34700	19508
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი მოგება	0	0
მოგების გადასახადის ხარჯი	34700	19508
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გად	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	34700	19508
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	792088	772580
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	826788	792088
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		

Ramaz Meparishvili

Digitally signed by Ramaz Meparishvili
Date: 2023.09.11 23:47:54 +04'00'

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2196823	2389258
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2181869	-2213440
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	14954	175818
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	197365	21547
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	212319	197365

Ramaz Meparishvili

Digitally signed by Ramaz Meparishvili
Date: 2023.09.11 23:52:59 +04'00'